„ალტერნატიული ისტორია“

დემოკრატიული საზოგადოებისათვის

ავტორი მაია ფირჩხაძე

ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი სტანდარტების მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეს სამყაროს სწორად შემეცნებაში, თანამედროვე ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში, დემოკრატიული, განვითარებაზე ორიენტირებული საზოგადოების მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ათვისებაზე მიმართული აქტივობებიც, რომელიც არამარტო შეესაბამება სასწავლო მიზნებს, არამედ ეხმარება კიდეც მასწავლებელს დასახული გეგმების განხორციელებაში.

დემოკრატიული კულტურის ათვისებისკენ მიმართული აქტივობები ოთხი ისეთი დიდი კატეგორიის კომპეტენციის დაუფლებას გულისხმობს, როგორიცაა:

1. ღირებულებები;
2. დამოკიდებულებები;
3. უნარები;
4. ცოდნა და კრიტიკული გააზრება.

აქედან – ცოდნა წარმოადგენს იმ ინფორმაციას, რომელსაც ფლობს პირი, ხოლო გააზრება უკავშირდება მნიშვნელობის აღქმასა და სათანადოდ შეფასებას. დემოკრატიული კულტურისათვის საჭირო ცოდნა და კრიტიკული გააზრება სამ ნაწილად იყოფა:
1. საკუთარი თავის შეცნობა და კრიტიკული გააზრება;
2. ენისა და კომუნიკაციის ცოდნა-შემეცნება და კრიტიკული გააზრება;
3. მსოფლიოს (პოლიტიკის, კანონის, ადამიანის უფლებების, კულტურის, კულტურათა რელიგიების, ისტორიის, მედიის, ეკონომიკის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების) შეცნობა-შემეცნება და კრიტიკული გააზრება.

ისტორიის მასწავლებლებისთვის განსაკუთრებით საინტერესოა მესამე კატეგორია, რადგან იგი ორიენტირებულია „ისტორიის ცოდნასა და კრიტიკულ გააზრებაზე“. მასწავლებლებს შეუძლიათ დაგეგმონ აქტივობები და დაეხმარონ მოსწავლეებს ისტორიის ცოდნისა და კრიტიკულად გააზრების უნარის დაუფლებაში, რომლის განხორციელებისათვის საჭირო აქტივობების, ანუ დესკრიპტორის შინაარსი იქნება „იმ ისტორიული ძალებისა და ფაქტორების შესახებ სხვადასხვა პერსპექტივიდან მონათხრობი ფაქტების ცოდნა და გააზრება, რომლებსაც შედეგად თანამედროვე მსოფლიოს ფორმირება მოჰყვა“.

მოცემულ შედეგებზე გასვლისას ამავდროულად სრულდება ესგ-ის ისტორიის საგნობრივი სტანდარტების შედეგებიც. მაგალითად:

ისტ. VII 1; 4 – მიზანია: მოსწავლემ დააკავშიროს ფაქტები და მოვლენები შესაბამის ისტორიულ ეპოქებთან; იმსჯელოს პოლიტიკური მოღვაწის მნიშვნელობაზე ქვეყნის ისტორიაში, ხოლო ინდიკატორია:
• მოსწავლე ისტორიულ მოვლენებს გადმოსცემს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და მათ შესაბამის ისტორიულ ეპოქას მიაკუთვნებს; მოიპოვებს ინფორმაციას (სახელმძღვანელოსა და დამატებითი ბეჭდური მასალის/ელექტრო მასალის საშუალებით) ერთ-ერთი პოლიტიკური მოღვაწის შესახებ და წერს თემას, რომელშიც საუბრობს მისი მოღვაწეობის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებზე და სხვ.
ან ისტ.VIII.11 – მიზანია: მოსწავლემ გააანალიზოს ადამიანის უფლებების საფუძვლები და მათი განვითარების ისტორიული პირობები:
• საკუთარი უფლებებიდან უნდა გამოყოს თანდაყოლილი და შეძენილი უფლებები; დაასახელოს ღირებულებები, რომლებიც აღნიშნულ უფლებებს დაედო საფუძვლად; თანაკლასელების ჯგუფთან ერთად უნდა გაითამაშოს სიტუაცია, როდესაც ილახება ადამიანის ღირსება ან თავისუფლება; გამოთქვას და დაასაბუთოს თავისი მოსაზრება ამ ღირებულებების მნიშვნელობის შესახებ; გააანალიზოს მსოფლიოში ადამიანის უფლებათა განვითარების პროცესი: წინაპირობები, მოთხოვნები, შედეგები და სხვ.
ესგ-ის ისტორიის საგნობრივი სტანდარტისა და დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ათვისებაზე მიმართული სტრატეგიები ერთმანეთის მსგავსია, საჭიროა, რომ:
• მასწავლებელმა სწორად შეარჩიოს სტრატეგიები;
• „დაახარისხოს“ ისინი, გამოყოს მათგან ისინი, რომელიც მიზნის სწორად მიღწევაში დაეხმარება.

შედეგების მიღების შესაძლო (სარეკომენდაციო) აქტივობები და სტრატეგიები კი შესაძლოა ასეთი იყოს:
მინი-ლექცია კონკრეტული მომენტისათვის აქტუალურ თემაზე, • შესაბამისი ეპოქის ლიტერატურული ძეგლებისა თუ შესაბამისი ეპოქის ამსახველი კინოფილმის განხილვა, • განვლილი თემის ამსახველი ილუსტრაციების ქრონოლოგიურად დაჯგუფება, ერთი და იმავე მოვლენის შესახებ პრინციპულად განსხვავებული წყაროების განხილვა, • „გამომძიებელ-რეკონსტრუქტორი“ ისტორიაში, • „ამა თუ იმ ისტორიული პერიოდის გაზეთის ან კარიკატურის შედგენა“, ან ე.წ. „ალტერნატიულ ისტორიის“ აღწერა და ა.შ.
საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებიდან ისტორიის ცოდნა/კრიტიკული გააზრებისთვის საყურადღებოა ისტორიული წარმოსახვის განვითარება, რომელიც გულისხმობს:

• ისტორიის ცვალებადი ბუნების ცოდნასა და გააზრებას და, ასევე, იმის გააზრებას, თუ როგორ იცვლება წარსულის მოვლენების ინტერპრეტირება დროის მსვლელობის პარალელურად და როგორ განსხვავდება ისტორიული მოვლენების ინტერპრეტირება სხვადასხვა კულტურაში;
• იმ ისტორიული ძალებისა და ფაქტორების შესახებ სხვადასხვა პერსპექტივიდან მონათხრობი ფაქტების ცოდნასა და გააზრებას, რომლებსაც შედეგად თანამედროვე მსოფლიოს ფორმირება მოჰყვა;
• ისტორიული კვლევების პროცესების გააზრებას; კონკრეტულად, იმის გააზრებას, თუ როგორ

წარმოებს ფაქტების შერჩევა და მათი ერთმანეთთან დაკავშირება და როგორ მიმდინარეობს ცნობილი ისტორიული მოვლენები და ფაქტები დროთა განმავლობაში წარმოებული ანგარიშების, ახსნა-განმარტებებისა და არგუმენტების წყალობით;
• ისტორიის შესახებ ინფორმაციის ალტერნატიულ წყაროებზე წვდომის საჭიროების გააზრებას, ვინაიდან ისტორიული მოვლენების სტანდარტული აღწერისას ხშირად ხდება მარგინალიზებული ჯგუფების (მაგალითად,როგორებიცაა კულტურული უმცირესობები ან ქალები) წვლილის უგულებელყოფა;
• ცოდნასა და გააზრებას იმისა, თუ როგორ ხდება ისტორიისა და ისტორიული ფაქტების წარმოჩენა და მათი სწავლების ეთნოცენტრული ხედვით;
• იმის ცოდნასა და გააზრებას, თუ სხვადასხვა გზით, სხვადასხვა კულტურაში, დროთა განმავლობაში, როგორ ყალიბდებოდა დემოკრატიისა და მოქალაქეობის კონცეფციები;
• იმის ცოდნასა და გააზრებას, რომ სტერეოტიპების ჩამოყალიბება წარმოადგენს დისკრიმინაციის ფორმას, რომელიც ემსახურება კაცობრიობის ინდივიდუალიზმისა და მრავალფეროვნების დათრგუნვასა და ადამიანის უფლებების დაკნინებას და, ზოგიერთ შემთხვევაში, კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის საფუძველიც კი ხდება;
• წარსულის გააზრებას და განხილვას აწმყოს გადმოსახედიდან და მომავლის პერსპექტივით და თანამედროვე მსოფლიოში არსებულ პრობლემებსა და განვითარებულ მოვლენებთან წარსულის კავშირის გააზრებას.

ისტორიული წარმოსახვის განვითარება მნიშვნელოვანია ისტორიის მეთოდოლოგიის თვალსაზრისითაც, ითვლება რა, რომ ასეთი სტრატეგიების გამოყენებით ყველაზე ეფექტურად დაიძლევა ნებისმიერი სასწავლო პრობლემა (Джон Филдинг., „Engaging Students in Learning History“). ამ გზით შეძენილი ცოდნა და უნარები კი მთელი ცხოვრება გაჰყვება მოსწავლეს, ის სიამოვნებით წაიკითხავს ისტორიულ ლიტერატურას, გაეცნობა თავისი ოჯახის გენეალოგიას, ბევრს იმოგზაურებს, გაიფართოებს ცოდნის არეს, ეწვევა მუზეუმებს და ა.შ. და რაც მთავარია, შეძლებს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებიდან ერთ-ერთის – ისტორიის ცოდნასა და კრიტიკული გააზრების ჩამოყალიბება/განვითარებას.

ისტორიული წარმოსახვის განვითარებისკენ მიმართული აქტივობებია:
• კროსვორდებისა და თავსატეხების გამოყენება;
• კვლევა-ძიებაზე ორიენტირებული დავალებების გამოყენება (თუმცა ისინი ნაკლებად ავითარებენ ისტორიულ წარმოსახვებს და უფრო ფაქტების გაანალიზებასა და დამახსოვრებაზე არიან ორიენტირებულები);
• მოდელირებაზე აქცენტირებული მიდგომები, როგორიცაა „როლური თამაშები“; „წარსული სურათების გაცოცხლება“; „ისტორიული ფანტაზია“; „ღია ბარათების“ შექმნა/დაწერა/მიწერა; „ისტორიული მემკვიდრეობა“; „ისტორიული ფანტასტიკა“ , „ალტერნატიული ისტორია“, რომლის დროსაც, • ისტორიულ მოვლენებზე მსჯელობის უნარის განვითარების მიზნით, მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ აქტივობა: „გამოთქვით ვარაუდი: რა მოხდებოდა, ... ესა და ეს.. მოვლენა ისტორიაში სხვაგვარად რომ წარმართულიყო?“ და ა.შ.
თავისი არსით ძალზედ ეფექტურია „ალტერნატიული ისტორია“, როგორც გონების გავარჯიშების საუკეთესო საშუალება, ქმნის რა მოდელს და შეისწავლის ისტორიული განვითარების ვარიანტებს, რა და როგორ იყო შესაძლებელი. ის წარსულის აქტუალიზაციის საშუალებაა, ვითარების „გამოგონება – წარმოსახვა/რეალობის გაცოცხლებაა“, რაც მასალის ღრმად გაანალიზების საშუალებასაც იძლევა. ამ დროს შესაძლებელია სიტუაციის, „გაშვებული შესაძლებლობების“ „გამოჭერა“, მოვლენათა რეალურ არსში წვდომა და სხვა

„ალტერნატიული ისტორიის“ დანახვა, რომელიც, შესაძლოა, რეალურიც ყოფილიყო, რეალურადაც მომხდარიყო, დაწერილიყო, მოვლენები რომ სხვაგვარად წარმართულიყო, ან ამ ამბებს ჩვენამდე რეალური, ნამდვილი შინაარსით მოეღწია.

„ალტერნატიული ისტორია“ შეიძლება განვიხილოთ, როგორც „კონტრფაქტური“ ისტორიაც, რადგან:
• საშუალებას იძლევა ისტორიის სწავლებაში დავუშვათ ისეთი ახალი ელემენტები, რომელთა შესახებ ოფიციალურ სახელმძღვანელოებში არასაკმარისი ინფორმაციაა (მაგალითად, 1990-2000 წლების გარდამავალი პერიოდის შესახებ);
• გაკვეთილზე შემოვიტანოთ ის ნარატიული მასალა, რომელიც:
ა) ავსებს საზოგადოების კულტურის ისტორიას;
ბ) ფართოდ აშუქებს სამხედრო-პოლიტიკურ თემებს, რომელიც ეხმარება მოსწავლეს კონფლიქტების რეალური ბუნებისა და შედეგების გაცნობაში; სადავო საკითხების ანალიზში; ისტორიული წყაროების მიმართ ინტერესის გაზრდაში, განსხვავებული მოსაზრებების ჩამოყალიბებაში;
• განსხვავებით „რეალური ისტორიებისაგან“, რომლებიც იძლევიან პასუხებს, „ალტერნატიული ისტორია“ მოსწავლეს უბიძგებს შეკითხვების დასმისკენ, კრიტიკული აზროვნების ინიციაციისკენ, ეწინააღმდეგება დოგმატიზმსა და მეცნიერულ „იგნორს“;
• უბიძგებს მოსწავლეს კვლევითი და ანალიზური უნარების განვითარებისკენ (როგორიცაა სტატისტიკური მონაცემებისა და კონკრეტული შემთხვევების ანალიზი) და სხვ;
• მოითხოვს ინტერვიუს ტექნოლოგიის, თხზულების დაწერის და სხვ. მიდგომების გამოყენებას სწავლებაში;
• და ა.შ.
„ალტერნატიული ისტორიის“ ფარგლებში განხორციელებული კონკრეტული აქტივობები ძირითადად სიტუაციური ამოცანებია, რომლებსაც ვთავაზობთ მოსწავლეებს შედეგების მიღებისთვის. მაგალითად (ისტ. VIII):
• „რა მოხდებოდა, თუ... გერმანული ტომები ვერ აითვისებდნენ, ვერ დაიკავებდნენ მთელ ევროპას?!“.....
• „თუ რუსეთი ვერ დაიპყრობდა კავკასიას?!“..
• „თუ გერმანია გაიმარχვებდა I მსოფლიო ომში?!“..
• „თუ ინდოეთს არ ეყოლებოდა მაჰათმა განდი?!“..
• „თუ არ გამოჩნდებოდა ასპარეზზე მარტინ ლუთერ კინგი?!“...
და ა.შ.

პასუხებისთვის მოსწავლეს ვთავაზობთ ასეთ „ფორმულას“:
ა) პოზიციის დაფიქსირება: „ჩემი მოსაზრებები ემყარება... მე ვთვლი, რომ...“
ბ) პოზიციის ახსნა-განმარტება: „გამომდინარე იქედან, რომ... ამიტომ...“
გ) ფაქტების, მოსაზრების ილუსტრაცია: „ნიშნად იმისა...მაგალითად...“
დ) პოზიციის აღიარება, დასკვნა: „გამომდინარე აქედან... ამიტომ... ამის შესაბამისად..... ასე რომ...“.
და სხვ.

ნებისმიერ სიტუაციაში, მოსწავლეთა ინდივიდუალური თუ χგუფური მუშაობის ორგანიზებისას, მთავარი პრინციპის დაცვა:
• სხვისი აზრის პატივისცემა;

• მკაფიო არგუმენტები;
• და – წაგებული არავინაა!

მიღებული შედეგები სტანდარტის შესრულების თვალსაზრისით – ყოველთვის მნიშვნელოვანია!
ისტორიის ცოდნა/კრიტიკული გააზრების უნარის დაუფლება და შესაბამისი ქცევების განხორციელება საშუალებას მისცემს ახალგაზრდა თაობას, თავად გააკეთოს არჩევანი, განსაზღვროს მიზნები და იმოქმედოს ამ მიზნების შესაბამისად, ემსახუროს სტრუქტურული ნაკლოვანებებისა და უთანასწორობის დაძლევასა და აღმოფხვრას, გამოავლინოს პატივისცემა ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული პროცესების მიმართ და იზრუნოს, გახდეს წარმატებული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის კარგად მომზადებული.